ეროვნული ბიბლიოთეკა

# „წვრილმანებზეც“ ვილაპარაკოთ

ამჯერად ტრადიციას დავარღვევ ვფიქრობ, საქართველოს უძლიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშე მერი ჩიხლაძე ჩემზე არ გაბრაზდება. დავიწყებ უფრო ახალგაზრდებით.

— რა მოსწონს ადამიანს 14 წლის ასაკში? — კითხვას გვიბრუნებს ქუთაისელი მოსწავლე სვეტლანა ბრიკი: — რა თქმა უნდა, მხიარული მეგობრები, გეოგრაფია და ... ცეკვა.

ლამაზად, ტემპერამენტით შეასრულა სვეტლანამ ესპანური ცეკვა და დამსახურებულად დაისაკუთრა დიპლომი. ეს მოხდა მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც პარასკევს დამთავრდა რუსთავში.

სვეტლანა ცეკვის სამყაროში არც ისე დიდი ხანია მოვიდა, მაგრამ შარშან უკვე II ადგილი დაიკავა სპორტის საპატიო ოსტატის ნ. სალაძის შემდეგ. ეს დიდი წარმატება იყო, რომელშიც დამსახურება ორ სხვა ადამიანსაც მიუძღვის. ესენი არიან სვეტლანას მწვრთნელი ლ. შავდია და მეგობარი ნ. ქათამაძე. ნათელა და სვეტლანა ერთად სწავლობენ ქუთაისის მე-9 სკოლის VIII კლასში და სპორტდარბაზშიც მუდამ ერთად არიან.

ასევე ნამდვილი მეგობრები არიან სოხუმელი მოსწავლეები, სპორტის ოსტატები რ. კოკოშვილი და ლ. ლავრენტიევა.

17 წლის ბათუმელმა სპორტსმენმა ი. ომიოტოვამ მაყურებლები მოხიბლა სახტუნებლით ვირტუოზული ვარჯიშით.

ახლა კი დავუბრუნდეთ მერი ჩიხლაძეს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს. იგი მსაჯებს ძალიან მოსწონთ შესრულების მკაცრი მანერისთვის. მაგრამ ამ შეჯიბრებაში მერი უჩვეულო ამპლუაში გამოვიდა: შეასრულა გედის ცეკვა ბალეტ „გედის ტბიდან“.

მერი წარსულში ცნობილი მოჭიდავე შალვა ჩიხლაძის ქალიშვილია. მან ამიტომაც გადაწყვიტა სპორტსმენი გამხდარიყო და მიაღწია კიდეც საწადელს. 5 წლის წინ მერი ჩიხლაძე უკვე სპორტის ოსტატი იყო. ახლა მან 53,45 ქულა მოაგროვა და რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

ჩიხლაძესთან 0,45 ქულით წააგო თბილისის 52-ე სკოლის მერვეკლასელმა მ. ვიშნიაკოვამ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა მიიღო კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მიერ გრაციისთვის დაწესებული პრიზი. მესამე იყო იმავე სკოლის კურსდამთავრებული, დღეს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორეკურსელი ლ. ზინკოვა — 52,75 ქულა. ეს სამეული უძლიერესი იყო სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის.

პირველთანრიგოსნებში ყველას აჯობა რუსთაველმა თ. გასიჩმა — 38 ქულა. გუნდურ თავისუფალ ვარჯიშში საუკეთესო იყო თბილისის I გუნდი (18,05 ქულა). ექვსი კოლექტივის დავაში გაიმარჯვეს თბილისის I გუნდის წარმომადგენლებმა (280,05). II-III ადგილები გაიყვეს თბილისის II და აფხაზეთის კოლექტივებმა (257,75). IV ადგილზე არიან აჭარის წარმომადგენლები — 254,15.

ახლა კი „წვრილმანებზეც“ ვილაპარაკოთ. რასაკვირველია, სასიამოვნოა, რომ მხატვრულ ტანვარჯიშშიც იზრდებიან სპორტის ოსტატები, მაგრამ განა ღირს აჩქარება ამ წოდების მინიჭებაში? სპორტის ოსტატთა პროგრამით 29 ტანმოვარჯიშე გამოვიდა, ეს ნორმატივი კი მათგან ვერც ერთმა ვერ შეასრულა. მართალია, სარბიელზე არ გამოსულან უძლიერესი სპორტსმენები ნ. სალაძე და ნ. სკრიპუნოვა, მაგრამ ორი ტანმოვარჯიშე საქმეს ვერ უშველის. რის იმედით უნდა წავიდეს ჩვენი გუნდი საკავშირო პირველობაში საასპარეზოდ, რომელიც აპრილში დაიწყება? იქნებ, ვერც ახლა ავცდეთ ტრადიციულ ბოლო ადგილს?

დროა საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციამ ამ სახეობის გეოგრაფიის გაფართოებისთვისაც იზრუნოს, რომ მხატვრულ ტანვარჯიშში ოსტატები მარტო ბავშვთა სპორტსკოლებში კი არა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელშიც იზრდებოდნენ.

და კიდევ ერთი „წვრილმანი“ — პატივისცემა. რესპუბლიკური შეჯიბრებები არც ისე ხშირად ტარდება რუსთავში და მით უფრო საწყენია, რომ ტურნირი მეტალურგიული ქარხნის სპორტდარბაზში წვიმის აკომპანემენტის ქვეშ გაიმართა. ნუთუ არ შეიძლებოდა სახურავი ადრევე შეეკეთებინათ?

კარგ დღეში არც ქუთაისელი სპორტსმენები არიან. მე-9 საშუალო სკოლის სპორტდარბაზი, სადაც ისინი ვარჯიშობენ, ხშირად სხვების განკარგულებაშია. გათბობის საქმე აქაც მოუგვარებელია. გარდა ამისა, ქუთაისელი სპორტსმენები ინვენტარსაც თავისი ფულით ყიდულობენ.

გასაგებია, რომ ასეთი „წვრილმანები“ მეტად აფერხებს მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებას.

ვ. ბუაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.

* * *

სურათზე: ვარჯიშობს მ. ჩიხლაძე.

ფოტო ავტორისა.



# ბოლო ცნობები

## „შტადტჰალედან“

ვენა, 16 მარტი. გუშინ გვიან ღამით დამთავრდა ევროპის ზამთრის I ჩემპიონატი მძლეოსნობაში. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა „შტადტჰალეს“ დარბაზში გამართული 22 სახეობიდან ოქროს 10, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს და ოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაისაკუთრეს. II ადგილზეა გდრ-ის ნაკრები (ოქროს 3, ვერცხლის 6 და ბრინჯაოს 3 მედალი), III — საფრანგეთის გუნდი (ოქროს 2, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 3 მედალი).

სპორტსმენებმა პროგრამის ბოლო სახეობებშიც მაღალი შედეგები აჩვენეს: 3000 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრება მოიგო მანჩესტერელმა რ. უაილდმა — 7.47,0, თანაც მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა. ჭოკით ხტომაში იმარჯვა ფ. ტრაკანელიმ (საფრანგეთი) — 530 სმ. აქ საბჭოთა გუნდიდან საუკეთესომ — ხარკოველმა გ. ბლიზნეცოვმა მხოლოდ 5 მ დაძლია და VI ადგილზე დარჩა.

60 მეტრზე ქალთა რბენაში იმარჯვა რ. მაისნერმა (გდრ) — 7,4 წამი. 1+2+3+4 წრეზე ესტაფეტა საფრანგეთის ქალთა კვარტეტმა მოიგო. ვაჟებში 60 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა გფრ-ის წარმომადგენელმა გ. ნიკელმა (7,8), ხოლო 1500 მეტრზე რბენაში პირველი იყო პოლონელი ჰ. შორდიკოვსკი — 3.48,7.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 54 (4048)

18

1970 წ. მარტი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культург и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ახალი ამბები

● ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ, 16 მარტი. „მეგობრობის თასის“ აქ მიმდინარე გათამაშებაში ცსკა-მ ახალ წარმატებას მიაღწია — ანგარიშით 5:1 დაამარცხა უნგრეთის გუნდი. მოსკოველი ფეხბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ. ირანის „პეიკანმა“ სძლია პაკისტანის ნაკრებს — 3:1.

● ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ, 16 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდი ახალი საკავშირო პირველობის ლიდერი გახდა — ზედიზედ 7 მატჩი მოიგო, მათ შორის, ძირითადი მეტოქე — მოსკოვის „ლუჩი“ დაამარცხა (15:12). პირველი წრის შემდეგ II ადგილზე მყოფმა „ლუჩმა“ კაუნასის „ჟალგირისთანაც“ წააგო. III ადგილზეა ბაქოს „სპარტაკი“, შემდეგ კი მოდიან: კიევის სახლმშენებელი კომბინატის გუნდი, „ჟალგირისი“, კიევის „ბურევესტნიკი“, სვერდლოვსკის „კალინინეცი“, მინსკის „ტექნოლოგი“.

● ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 16 მარტი. „მეგობრობის თასზე“ ძალოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს მსუბუქი და ქვესაშუალო წონის ათლეტები ასპარეზობდნენ. მსუბუქ წონაში გაიმარჯვა პოლონელმა ზ. კაჩმარეკმა — 425 კგ. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — ვ. ლავრუხინი IV ადგილზე გავიდა (415 კგ). ქვესაშუალო წონაში არ გამოდიოდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საბჭოთა ათლეტი ვ. კურენცოვი, მაგრამ, ამის მიუხედავად, გამარჯვება მაინც სსრ კავშირის წარმომადგენელს დარჩა: I ადგილი დაისაკუთრა ევროპის 1968 წლის ვიცე-ჩემპიონმა ე. სმირნოვმა — 447,5 კგ. ამავე წონაში იუნიორთა მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა დონეცკელი ა. გალკინი, რომელმაც 145 კგ. აჭიმა. II საპრიზო ადგილი დაიკავა ბულგარელმა ი. ბიკოვმა (415 კგ), III — ამავე შედეგით — გ. მოლცმა (გდრ).

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 მარტი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა სტამბოლის „ფენერბახჩეს“ (თურქეთი) უმასპინძლა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:0 (15:3, 15:7, 15:8). განმეორებითი შეხვედრა გაიმართება სტამბოლში, აპრილის დამდეგს.

# კიდევ ერთი გამარჯვება

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 17 მარტი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ კვლავ ახმაურდა „იუჰანესჰოფის“ ვეებერთელა დარბაზი — ყინულის სარბიელზე ისევ გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონის წოდების მაძიებელი ჰოკეისტები.

საბჭოთა კავშირის ნაკრები პოლონეთის ეროვნულ გუნდს შეხვდა და კვლავ გამარჯვებას მიაღწია. მატჩის ანგარიშია 7:0 (2:0, 5:0, 0:0).

შაიბები გაიტანეს: ვიკულოვმა (3), მალცევმა (2), ფირსოვმა და მიხაილოვმა.

# ფავორიტთა დუელი

მეორე კვირაა ბელგრადში მიმდინარეობს 8 მარტისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ქალთა VI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მონაწილენი ასე არიან განლაგებული სატურნირო ცხრილში: 1. ა. კუშნირი (სსრ კავშირი), 2. კ. იოვანოვიჩი, 3. მ. ლაზარევიჩი (ორივე — იუგოსლავია), 4. ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), 5. ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი), 6. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 7. მ. ივანკა (უნგრეთი), 8. რ. იოვანოვიჩი, 9. ა. ვუინოვიჩი, 10. ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა (სამივე — იუგოსლავია), 11. ე. ტროიანსკა (ბულგარეთი) 12. ი. მალიპეტროვა-ჰარსტონი (ჩეხოსლოვაკია) 13. ლ. ტიმერი (ჰოლანდია), 14. ნ. გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი), 15. ი. ფერერი (ესპანეთი), 16. თ. ვუიანოვიჩი (იუგოსლავია).

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ გაფრინდაშვილი და კუშნირი — 4,5-4,5 და 2-2 გადადებული პარტია. ივანკას 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

როგორც ხედავთ, ტურნირი უაღრესად ძლიერი შემადგენლობისაა. ამიტომ ბრძოლაც ძალიან მძაფრად მიმდინარეობს.

სტარტზე თავი გამოიჩინა კუშნირმა. I ტურში მან სძლია ვუიანოვიჩს, მეორე დღეს უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია კ. იოვანოვიჩთან. ამ პარტიაში ბრძოლა განახლდა სამი დღის შემდეგ, მაგრამ იგი კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. ახლა საბჭოთა მოჭადრაკეს მოსაგები მდგომარეობა აქვს. მომდევნო სამ ტურში კუშნირმა ზედიზედ დაამარცხა ლაზარევიჩი, პოლიქრონიადე და რაძიკოვსკა. VI ტურში მოსკოველმა ოსტატმა მწვავე თამაშის შემდეგ გადადო პარტია ნიკოლაუსთან, ხოლო VII ტურში ივანკას ყაიმზე შეუთანხმდა.

სტარტზე გაფრინდაშვილის მეტოქენი იყვნენ: ლაზარევიჩი, პოლიქრონიადე, რაძიკოვსკა და ნიკოლაუ. ლაზარევიჩთან მსოფლიო ჩემპიონს სამჯერ მოუხდა თამაში. ამას მისი უპირატესობის რეალიზება მოითხოვდა. იუგოსლაველმა ბოლოს და ბოლოს დათმო პარტია.

პოლიქრონიადესთან ნონას პარტია დღესაც დაუმთავრებელია. შეწყვეტილ პოზიციაში რუმინელ მოჭადრაკეს ორი ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს.

რაძიკოვსკასთან გაფრინდაშვილს უკეთესი ენდშპილი ჰქონდა, მაგრამ უპირატესობა იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა, რომ ბოლოს ყაიმი გამოვიდა. მსოფლიო ჩემპიონს ნიკოლაუსთან მცირე უპირატესობა ჰქონდა. რუმინელმა ყაიმიც კი შესთავაზა მას, მაგრამ ნონამ წინადადება არ მიიღო, გააგრძელა თამაში და ვირტუოზული ტექნიკის წყალობით პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

V ტურში ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ გადაიდო ივანკა — გაფრინდაშვილის პარტია. VI და VII ტურებში მსოფლიო ჩემპიონი ალმაცერლობით თამაშობდა. მან დაამარცხა იუგოსლავიის ჩემპიონი რ. იოვანოვიჩი და ახალგაზრდა ვუინოვიჩი.

როგორც ჩანს, პირველი პრიზისთვის ბრძოლა ძირითადად საბჭოთა მოჭადრაკეებს შორის გაიმართება. ამ მხრივ საინტერესო იქნება მათი შეხვედრა, რომელიც ბოლოსწინა, XIV ტურში შედგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამაცთა და გაბედულთა სპარტაკიადა

სტარტი აიღო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა V საკავშირო სპარტაკიადამ სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. ასპარეზობის მთავარი მიზანია ჭაბუკებისა და ქალიშვილების მასობრივად მიზიდვა სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში, მათი ოსტატობის ამაღლება, ახალი რეკორდების დამყარება, აგრეთვე, მოსახლეობაში მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესება და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ახალგაზრდობის მომზადება.

სპარტაკიადის პროგრამაში შედის საავიაციო, საავტომობილო, სამოტოციკლო, საზღვაო და რადიოსპორტი, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი, ტყვიის სროლა და სხვა, სულ 29 სახეობა, რომელთაგან საქართველო მხოლოდ ორში არ გამოიყვანს გუნდებს. ესაა სათვითმფრინავო და საპლანერო სპორტი.

წლევანდელი სპარტაკიადის დამახასიათებელი ნიშანი ისიც გახლავთ, რომ რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები უნდა დაკომპლექტდეს სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვაჟებისა და პირველთანრიგოსანი ქალებით მაინც, ამასთან, გუნდების შემადგენლობის ნახევარს 25 წლამდე ასაკის სპორტსმენები უნდა შეადგენდნენ.




საკავშირო სპარტაკიადაში ყველა რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების საბოლოო შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება 15 სახეობაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლები, რომლებსაც ნაკრები გუნდები ფინალურ ტურნირებში მიაღწევენ.

მხედველობაში მიიღებენ წლეულს ადგილებზე გაწეულ მუშაობასაც—რამდენი მასობრივი შეჯიბრება გაიმართა, ტურნირები ხშირად ეწყობოდა თუ არა, რამდენად თვალსაჩინოა სპორტის ოსტატებისა და მაღალთანრიგოსანთა რიგების ზრდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მასობრივ შეჯიბრებებს რადიო და სამოტორო სპორტში.

სპარტაკიადის პირველი ეტაპის შეჯიბრებები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში უკვე დაიწყო. საუკეთესოები მიიღებენ მეორე ეტაპის — რაიონული და საქალაქო შეჯიბრებების საგზურებს. შემდეგ ჩატარდება ზონალური, აგრეთვე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სპარტაკიადები. საქართველოს სპარტაკიადის ფინალი კი ივლისში გაიმართება თბილისში. ფაქტიურად, ეს იქნება შეჯიბრება, რომელმაც საბოლოოდ უნდა დააკომპლექტოს საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე რესპუბლიკური ნაკრები.

საქართველოს ორგანიზაციებმა საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ტურნირში (აგვისტო) წარმატებით გამოსვლისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყეს საკავშირო შეჯიბრების დებულებით წამოყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით. შარშან საქართველოს ყველა გუნდი, რომელიც კი საკავშირო პირველობებში გამოდიოდა, საგრძნობლად გაახალგაზრდავებული იყო. როგორც ჩანს, სწორად მოიქცა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტი, რომელმაც მაშინ ახალგაზრდებს საშუალება მისცა დიდ ტურნირებს შესჩვეოდნენ. მათ უმეტესად გაამართლეს — შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდნენ. საქართველოს სპორტსმენებმა საკავშირო ტურნირებში 8 სახეობის მოტოციკლებით იასპარეზეს და საერთო III ადგილი დაისაკუთრეს—მხოლოდ რსფსრ-სა და უკრაინის კოლექტივებს ჩამორჩნენ. საავტომობილო, სამოტოციკლო და რადიოსპორტის 15 სახეობის ჯამში ჩვენმა დოსააფელებმა საბოლოოდ IV ადგილი დაიკავეს 17 გუნდში.

ჩვენმა სპორტსმენებმა მაღალი შედეგები პირად შეჯიბრებაშიც მოიპოვეს. პირველი, ვინც სსრ კავშირის სპორტსმენებიდან ევროპის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა წიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში (სპიდვეი), თბილისელი ვ. კლიმენტიევი იყო. შარშან იმარჯვა ქ. ცალქალამანიძემაც — საიპოდრომო მოტორბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიხვეჭა, ხოლო საგზატკეცილო რბოლაში საპრიზო ადგილი დაიკავა. რადიოგრამების მიღება-გადაცემაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა თბილისელი მ. სადუკოვი, ხოლო გოგონათა საკავშირო ტურნირში თავი გამოიჩინა ნ. შმელიოვამ. ავიასამოდელო სპორტში სსრ კავშირში პირველი იყო საჩხერელი ნ. გელბახიანი, საგზატკეცილო-რკალურ ავტორბოლაში — თბილისელი მ. ლოგინოვი.

გვყავს შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებიც: ესენი არიან: საავტომობილო სპორტში — მ. მამრიკიშვილი, გ. დგებუაძე, ქ. ტაბიძე, რადიოსპორტში — ს. გვოზდიკოვი, საზღვაო-სამოდელო სპორტში — ა. დეინეკო, ქ. პაჭკორია, საწყალოსნო-სამოტორო სპორტში — გ. არიშევი, ბ. ბაზიაკი, ა. მინასიანი, ტყვიის სროლაში — მ. ჟამურაშვილი, ე. აბაჯიანი და სხვ.

გვჯერა, რომ ამ სახეობებში არც წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში შევრცხვებით, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით საპარაშუტო სპორტსა და ზოგიერთ საზღვაო სახეობაზე.

ამჟამად ყურადღება გამახვილებულია რესპუბლიკის ნაკრების წევრთა სწორად შერჩევაზე, გუნდების სათანადოდ დაკომპლექტებაზე, მანქანების ნაწილების მომარაგებაზე, ავტომობილების, მოტოციკლების, მიკროძრავების კონსტრუქციების გაუმჯობესებაზე, უნიკალური გლისერების აგებაზე, უმაღლესი ხარისხის რადიოაპარატურის შექმნაზე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საქართველოს სპარტაკიადის სათანადოდ ჩატარებისთვის დროულად შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია.

**თ. ჩხაიძე,**
საქართველოს დოსააფის სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების განყოფილების უფროსი.





# გენერალურ რეპეტიციაზე

ნაადრევი სამხრეთული გაზაფხული მოტოკროსში ვარჯიშისა და ასპარეზობის შესანიშნავ პირობებს ქმნის. თანაც, რუსთავის, თბილისისა და სოხუმის მიდამოებში მოწყობილი შეჯიბრებები სსრ კავშირის მოტოსპორტის ფედერაციას კარგად აქვს დაცდილი. სწორედ ამიტომაა, რომ სწორედ ამ ქალაქებში ყოველწლიურად სტარტს იღებს საკავშირო ჩემპიონატი...

ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა: კვირას რუსთავში უძლიერესთა ტურნირი გაიმართა, 22 მარტს დელისში საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი მოეწყობა, 29 მარტს კი სოხუმში — მეორე ეტაპი.

რუსთავის 49-ე კვარტალის მიდამოებში მოტოციკლისტები ერთმანეთს 250 და 500 კბ სმ მოცულობის მანქანებით რბოლაში ეჯიბრებოდნენ. ეს ასპარეზობა საკავშირო ჩემპიონატის წინ ძალთა გენერალური შემოწმება გახლდათ. სარბიელზე გამოსულთ ძნელი პირობები ჰქონდათ — ტალახში ციცაბო აღმართებზე რბოლა მეტისმეტად ჭირდა...

მოტოკროსი უყვართ რუსთავში. ამ ქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები უამინდობას არ შეუშინდა და შეჯიბრების სანახავად მოვიდა. მაყურებლები არც შემცდარან: მათ ნახეს სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატებში გამარჯვებულებისა და პრიზიორების, საერთაშორისო ბრძოლებში ნაწრთობი სპორტსმენების — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლვოვის, კოვროვის, სვერდლოვსკის და სხვა ქალაქების წარმომადგენელთა უაღრესად მწვავე ჭიდილი. სტარტზე გამოსული 60 მოტოკროსმენიდან 31 სპორტის ოსტატი იყო.

დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის, რუსთავისა და გარდაბნის ორგანიზაციების დაწესებული პრიზებისთვის მებრძოლებს 1800-მეტრიანი წრე თითო ცდაზე 16-ჯერ უნდა შემოევლოთ (სულ 2 ცდა ეძლეოდათ). გამარჯვებული ორი ცდის ჯამში ნაკლები საჯარიმო ქულებით ვლინდებოდა.

პირველად სარბიელზე „250-ანები" გამოვიდნენ, შემდეგ — „500-ანები". ეს თანმიმდევრობა არც მეორე ცდისას დარღვეულა.

„250-ანებით" ასპარეზობის კომენტირება დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების განყოფილების უფროსს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს თ. ჩხაიძეს ვთხოვეთ, „500-ანების" შეჯიბრებაზე აზრის გაზიარება კი მთავარი მსაჯის მოადგილეს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ო. კიკნაველიძეს.

— გამარჯვებისთვის მებრძოლთა შორის სსრ კავშირის სამი ჩემპიონია, — დაიწყო ჩხაიძემ. — ესენი არიან კიეველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლეონიდ შინკარენკო, რომელიც შარშან უძლიერესი იყო „175-ანებისა" და „250-ანების" კლასებში, ლენინგრადელი სპორტის ოსტატი პაველ რულიოვი და ჭაბუკთა შორის ჩემპიონი, კოვროველი სპორტის ოსტატობის კანდიდატი სტანისლავ ლევინი. ამას დაუმატეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვლადიმერ კავინოვი (ლვოვი) და ცნობილი ვიქტორ არბეკოვი (მოსკოვი), ლენინგრადელი ოსტატი გენადი მოისეევი... ბრძოლა, ცხადია, უშელავათო იქნება.

... დააკვირდით ნომრებს: „1", „2", „4", „5", „16" — შინკარენკოს, კავინოვს, მოისეევს, რულიოვსა და არბეკოვს პირველობის საკითხი ფაქტიურად მათ შორის უნდა გადაწყდეს.

— საქართველოს სპორტსმენებს მხედველობიდან რატომ უშვებთ? — შევაწყვეტინე.

— ჩვენი რესპუბლიკიდან ამ კლასში 3 დოსააფელი გამოდის — თბილისელი ოსტატობის კანდიდატები ალექსანდრე სარიშვილი, ვაგინაკ მანუკიანი და რუსთაველი პირველთანრიგოსანი კირვალიძე. ბრძოლა მათაც იციან, მაგრამ ვნახოთ...

... აი, შეჯიბრებაც დაიწყო. შეხეთ, მეცხრე ნომერი ვინღაა? ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ანატოლი დოლინკინი ყოფილა. ოჰო, არ ხუმრობს.

მაგრამ აი, დოლინკინს კავინოვი წამოეწია. მერე კიდევაც გაასწრო. ლენინგრადელს მოისეევმაც აუარა გვერდი. მეორე წრეზე დოლინკინი უკვე მესამეა. მას კვალში მიჰყვებიან სარიშვილი, არბეკოვი. შინკარენკო მხოლოდ მეექვსეა, რულიოვი — მეშვიდე...

მეოთხე წრეზე საქმე აურია: დაწინაურდა მოისეევი, მაგრამ ახლავე ნათელია, რომ მას და კავინოვს ერთმანეთთან დიდი ბრძოლა მოუხდებათ, ვინაიდან სხვები საგრძნობლად ჩამორჩნენ. შინკარენკო მესამეა, რულიოვი—მეოთხე.

... გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევს. ახლა მეცხრე წრეა და კავინოვი მოისეევსაც „გაექცევა".

ჩხაიძე არ შემცდარა — კავინოვმა მოისეევს 200 მეტრი მოუგო. მესამე იყო რულიოვი.

ვინაიდან ამ კლასში სამივე საპრიზო ადგილი საბოლოოდ სწორედ ამ თანმიმდევრობით განაწილდა, თხრობას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ მეორე ცდაში მოისეევმა იმარჯვა, ოღონდ მან კავინოვზე სულ რაღაც ათიოდე მეტრით ადრე დაამთავრა რბოლა.

— უძლიერესი სამეული ცნობილია. საქართველოს სპორტსმენებიდან ვის გამოყოფდით?

— ტექნიკური შედეგები მოვიშველიოთ. სარიშვილს VI ადგილი დაუკავებია. ახალგაზრდა სპორტსმენისთვის ეს კარგი მაჩვენებელია.

„500-ანებმა" მეორე ცდა დაიწყეს და კიკნაველიძემ დრო ჩვენთვისაც გამონახა.

— ბეგიაშვილმა მოლოდინს გადააჭარბა: პირველ ცდაში მესამე იყო.

— ჯერ მონაწილენი, ფავორიტები გაგვაცანით, — ვთხოვე.

— პირველ ყოვლისა უნდა დავასახელო სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონები, ამ კუბატურაში გამარჯვებული კიეველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ პოგრებნიაკი და „350-ანებში" ოქროს მედალოსანი, რიგელი ოსტატი ანდრის კლიავინში, რომელიც წლეულს „500-ანზე" ამხედრდა. მერე ანგარიშგასაწევია ვენტსპილსელი საერთაშორისო ოსტატი არნის ანგერსი, სპორტის ოსტატები — კიშინიოველი ვლადიმერ ოვჩინიკოვი, ლენინგრადელი ვასილი ტროფიმოვი, რიგელი ვიტაუტას დონისი, კოვროველი ვასილი კრასნოშჩოკოვი, თბილისელები გიორგი ბეგიაშვილი და ალექსანდრე კლდიაშვილი.

— მეორე ცდის მსვლელობაზე რას იტყვით?

— ახლა კრასნოშჩოკოვი ლიდერობს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება გაუჭირდება, რადგან პირველ ცდაში უხეიროდ გამოვიდა. ბეგიაშვილის მანქანას რაღაც უჭირს. თუ დააკვირდით, ცდის სტარტიდან დაწინაურდა, ახლა კი მეცხრეა.

... ყოჩაღ! ბეგიაშვილი მდგომარეობას ასწორებს. ფინიშამდე კიდევ ხუთი წრეა, მან კი მეშვიდე ადგილზე გადმოინაცვლა. გაბედული სპორტსმენია და ვიმედოვნებ, საპრიზო ადგილსაც მოიპოვებს.

რბოლა კრასნოშჩოკოვმა მოიგო. ბეგიაშვილი ამ ცდაში მეხუთე იყო, ხოლო როცა მსაჯებმა ორი ცდის შედეგები შეაჯამეს, თბილისელს 8 ქულა აღმოაჩნდა. იგი ქულით ჩამორჩა ოვჩინიკოვს, რომელიც პირველ ცდაში მეხუთე იყო, მეორეში კი — მეორე. საბოლოოდ მას 7 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. III ადგილზეა კლიავინში.

— ჩემპიონები როდის გამოვლინდებიან?

— ოქტომბერში. სოხუმის სტარტის შემდეგ ოქროს მაძიებლები 17 მაისამდე დაისვენებენ. ამ დღეს კი ივანო-ფრანკოვსკში მესამე ეტაპს გამართავენ. მერე, 28 ივნისს, ბელგოროდში მოეწყობა მეოთხე ეტაპი, ბოლოს კი 25 ოქტომბერს, სევასტოპოლში — ფინალი.

— თბილისში შეჯიბრებას სხვა სპორტსმენები თუ დაემატებიან?

— რა თქმა უნდა. ველით რამდენიმე სპორტსმენს, რომლებმაც რუსთავის სტარტს ვერ ჩამოუსწრეს. პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი გუნარ დრაუგსი უნდა დავასახელო.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.

• • •

სურათებზე: კავინოვი ასპარეზობისას (მარჯვნივ); შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ავტორისა.

# მსოფლიო რეკორდები

**ველოსპორტი**
(ტრეკი)

1970 წლის 15 მარტისთვის

## ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| 200 მ სვლით — ო. ფხაკაძე (სსრ კავშირი) | 10,69 | 1967 |
| 500 მ სვლით — პ. ტრანტენი (საფრანგეთი) | 27,85 | 1967 |
| 1 კმ სვლით — ლ. ბორგეტი (იტალია) | 1.01,14 | 1967 |
| 1 კმ ადგილიდან — პ. ტრანტენი (საფრანგეთი) | 1.08,91 | 1968 |
| 4 კმ ადგილიდან — კ. კურმანი (შვეიცარია) | 4.40,41 | 1968 |
| 5 კმ ადგილიდან — მ. ფრეი (დანია) | 6.01,8 | 1969 |
| 10 კმ ადგილიდან — მ. ფრეი (დანია) | 12.23,8 | 1969 |
| 20 კმ ადგილიდან — მ. ფრეი (დანია) | 25.00,5 | 1969 |
| 100 კმ ადგილიდან — ო. რიტერი (დანია) | 2:19.01 | 1965 |
| 1-საათიანი ადგ. — მ. ფრეი (დანია) | 47513,69 მ | 1969 |
| 4 კმ-ზე გამოდევნებით გუნდური რბოლა — გფრ | 4.15,76 | 1968 |

## ქალები

| | | |
|---|---|---|
| 200 მ სვლით — ლ. რაზუვაევა (სსრ კავშირი) | 12,8 | 1955 |
| 500 მ სვლით — ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი) | 32,5 | 1967 |
| 1 კმ სვლით — ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი) | 1.12,9 | 1967 |
| 1 კმ ადგილიდან — ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი) | 1.13,1 | 1967 |
| 3 კმ ადგილიდან — რ. ობოდოვსკაია (სსრ კავშირი) | 4.01,7 | 1969 |
| 5 კმ ადგილიდან — რ. ობოდოვსკაია (სსრ კავშირი) | 6.55,7 | 1967 |
| 10 კმ ადგილიდან — ე. ჟაკობსი (ლუქსემბურგი) | 14.27,0 | 1956 |
| 20 კმ ადგილიდან — ბ. ბარტონი (დიდი ბრიტანეთი) | 28.58,8 | 1960 |
| 100 კმ ადგილიდან—ზ. ტიუმენცევა (სსრ კავშირი) | 2:46.27,2 | 1955 |
| 1-საათიანი ადგ. — ე. ჟაკობსი (ლუქსემბურგი) | 41347,27 მ | 1958 |

# ქალთა საოლქო

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე ორ კვირას მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის ქალთა III საოლქო სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „განთიადის", „კოლმეურნისა" და განათლების განყოფილების გუნდები. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი და ტყვიის სროლა.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკმა". II ადგილზეა განათლების განყოფილების გუნდი. სტუდენტმა სპორტსმენებმა ჩემპიონობა მოიპოვეს კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ხელბურთსა და ჭადრაკში. განთიადელებმა იმარჯვეს შაშში, სპარტაკელებმა — სროლაში, მოსწავლეებმა — მაგიდის ჩოგბურთში.

მძლეოსნები მხოლოდ ექვს სახეობაში ასპარეზობდნენ.

**ვ. მელქოევი.**
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.



გოლი! ეს არის ყველაზე უფრო საყვარელი და პოპულარული თამაშის — ფეხბურთის ხილამაზე, მისი მშვენება.

შორსაც რომ იყოთ სტადიონიდან, მაყურებელთა ყიჟინა მაშინვე გამცნობთ, რომ გავიდა გოლი.

სურათზე: გოლი!

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# რესპუბლიკის „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების ამოცანები

## შარშანდელი წლის ზოგიერთ შედეგზე

საქართველოს „ბ" კლასის გუნდებმა 1969 წლის სეზონში უეჭველად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. საკმარისია ითქვას, რომ „დილამ" (გორი) ამიერკავკასიის ზონის ტურნირში I ადგილი დაიკავა, ამასთან, მთელი 5 ქულით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული „ავტომობილისტი" (ერევანი). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გორელთა მაღალი შედეგიანობა. ეს წარმატება მთელი კოლექტივისა და მისი მწვრთნელის ა. ნორაკიძის დიდი დამსახურებაა. სხვათა შორის, ბოლო წლებში „დილა" სტაბილურად თამაშობს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თვალსაჩინო როლი, რომელიც გუნდის ჩამოყალიბებაში შეასრულეს მისმა ყოფილმა მწვრთნელებმა ა. კოტრიკაძემ და ნ. ჩხატარაშვილმა.

მაგრამ შარშანდელი წელი მარტო „დილას" წარმატებით როდი აღინიშნა. არანაკლებ სასიხარულო იყო ის ფაქტიც, რომ ამიერკავკასიის „ბ" კლასის გუნდების პირველ ხუთეულში 4 ქართული კლუბი მოხვდა. გორელთა გუნდის გარდა ესენი არიან ლანჩხუთის „გურია" (მწვრთნელი შ. კაკაბაძე), მახარაძის „მერცხალი" (მ. გორდელაძე) და რუსთავის „მეტალურგი" (ა. კოტრიკაძე).

აი, როგორია პირველი ხუთეულის შედეგები ამიერკავკასიის ზონის შარშანდელ პირველობაში:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა" (გორი) | 38 | 20 | 14 | 4 | 70—24 | 54 |
| „ავტომობილისტი" (ერევანი) | 38 | 21 | 7 | 10 | 56—35 | 49 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 38 | 21 | 7 | 10 | 54—38 | 49 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 38 | 18 | 11 | 9 | 55—27 | 47 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 38 | 15 | 16 | 7 | 53—32 | 46 |

დღევანდელ შესაძლებლობათა გათვალისწინებით (პირველ ყოვლისა ვგულისხმობთ ფეხბურთელთა ადგილობრივ კადრებს) კახეთის გუნდებისთვის — „კახეთისა" (მწვრთნელი გ. გომელაური) და „ალაზნისთვის" (დ. მაჭავარიანი) VII და X ადგილებიც შედარებით წარმატებაა. მოვიყვანთ ამ კოლექტივების შედეგებს:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კახეთი" (თელავი) | 38 | 15 | 8 | 15 | 47—47 | 38 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 38 | 12 | 12 | 14 | 36—39 | 36 |

ამ გუნდების აღნიშვნა საჭიროა, მით უმეტეს, რომ მათ შეძლეს ჩამოეტოვებინათ ფოთის „კოლხეთი" (მწვრთნელი ი. ხოფერია), ქობულეთის „შუქურა" (ტ. ეპიტაშვილი), ზუგდიდის „ენგური" (გ. ბენდელიანი), ჭიათურის „მაღაროელი" (ე. შვანკირაძე) და სოხუმის „დინამო" (ი. გრამატიკოპულო).

მიღწევები ერთია, ჩვენ კი ვალდებული ვართ დავსვათ კითხვა: რა იმალება, ვთქვათ, კახეთის გუნდების წარმატების მიღმა? როგორ გაუსწრეს მათ დასავლეთ საქართველოს ამდენ გუნდს? იქნებ არც „კოლხეთი", „შუქურა", „ენგური", „მაღაროელი", სოხუმის „დინამო", აგრეთვე, ცხინვალის „სპარტაკი" იდგნენ ერთ ადგილზე, მაგრამ ისინი ჩვეულებრივი მატარებლის სიჩქარით მოძრაობდნენ, კახელები კი თვითმფრინავის სისწრაფით მიქროდნენ?

არა, სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა. კახეთის გუნდების დამსახურებას ჩრდილი არ მიადგება, თუ პირდაპირ ვიტყვით, რომ მათმა ზემოჩამოთვლილმა მეტოქეებმა საერთოდ შეწყვიტეს წინსვლა, თუ უკან არ დაიხიეს.

ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ თითქმის ყველა ჩამორჩენილი გუნდი სწორედ იმ რაიონების წარმომადგენელია, სადაც უპირატესად განვითარებულია ქართული ფეხბურთი. ესე იგი, ერთობლივ ქართული ფეხბურთის ბედი დიდადაა დამოკიდებული ამ რაიონების წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე.

ამ თვალსაზრისით ძალიან დამახასიათებელია სოხუმის „დინამოს" მაგალითი, რომლის უხეირო თამაშმა ბოლო წლებში არ შეიძლება არ შეაშფოთოს საქართველოს სპორტული ორგანიზაციები და საზოგადოებრიობა. როგორ მოხდა, რომ სოხუმის „დინამო" ამიერკავკასიის „ბ" კლასის 20 გუნდს შორის ბოლოდან მესამე აღმოჩნდა? მართლაც მოხერხება უნდოდა მატჩების ნახევრის წაგებას და 76 შესაძლებლიდან სულ 31 ქულის აღებას!

ეს მარცხი გვიკვირს, რადგან სოხუმის „დინამო" ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური, შემადგენლობით ძლიერი კოლექტივია საქართველოს „ბ" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებში. ესაა გუნდი, რომელსაც სხვებზე თამამად შეუძლია ნიჭიერი ახალგაზრდებით შეივსოს და ისინი საბჭოთა ფეხბურთის საუკეთესო ნიმუშებზე აღზარდოს. სოხუმელები ხომ ყოველ გაზაფხულზე შინ აკვირდებიან საბჭოთა კავშირის მოწინავე გუნდების თამაშს, თავადაც ხვდებიან მათ — ამ ქალაქში სასწავლო შეკრებებზე ჩამოსულთ. ესე იგი, აფხაზეთის დედაქალაქში აქვთ შესანიშნავი ტრადიციები, ჰყავთ ფეხბურთელები, ჰყავთ რეზერვი. ყოველივე ამის წყალობით სოხუმელებს დიდი ხანია უნდა ეფიქრათ „ა" კლასში გადასვლაზეც კი, მაგრამ ისინი „ბ" კლასშიც თითქმის ყველას ჩამორჩნენ. რა უნდა იყოს მიზეზი პოტენციალსა და სინამდვილეს შორის ასეთი განსხვავებისა?

აქ ბევრი რამ, რასაკვირველია, ტიპიურია მხოლოდ სოხუმისთვის. ავიღოთ ერთი საოცარი ფაქტი: გუნდს, რომელმაც XVIII ადგილი დაიკავა, გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი სხვაობა (48—47) აქვს და ამ მაჩვენებლის მიხედვით ზონაში მეექვსეა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ გუნდის მრავალ მარცხს შორის ბევრი ფეხბურთელთა სუსტი ნებელობითი თვისებებითაა გამოწვეული. შეიძლებოდა დაგვესახელებინა სხვა მიზეზებიც. სოხუმის „დინამოს", მაგალითად, საწვრთნელი ბაზა არა აქვს და ფინანსური დაბრკოლების გამო დიდი ხანია უარი თქვა წინასწარ შეკრებებზე. ამას გარდა, გუნდის ხელმძღვანელობა კომერციული მოსაზრებებით ყოველწლიურად აჩქარებს საგაზაფხულო მზადებას, რომელიც საბოლოო ჯამში შავი ზღვის პირას საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ „ა" კლასის გუნდებთან ამხანაგური შეხვედრებით ამოიწურება. ეს გუნდის სალაროს დიახაც უხდება, მაგრამ კოლექტივს ძირფესვიანი მზადების საშუალებას უსპობს, რის შედეგადაც ფეხბურთელებს ჩემპიონატის ნახევარ გზაზე უკვე ქანცი უწყდებათ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გუნდის ეს სწრაფვა საგაზაფხულო შემოსავლის მოპოვებისკენ კარგი ცხოვრებით არ უნდა იყოს გამოწვეული. „დინამოს" სტადიონის ტრიბუნები არც ისე ტევადია და გუნდი მხოლოდ კალენდარული მატჩების შემოსავლით ვერ იარსებებს. მთავარი წყარო სწორედ ის საგაზაფხულო თანხებია და ეს გუნდის დანაშაული კი არა, უბედურება გახლავთ.

ჩვენ დავასახელეთ რამდენიმე ობიექტური მიზეზი. ასეთივე მიზეზები — საერთოცა და განსაკუთრებულიც — სხვა ჩამორჩენილ გუნდებსაც ექნებათ. მაგრამ მხოლოდ მიზეზების ჩხრეკა ნიშნავს წარუმატებლობის გამართლებას, მასთან შერიგებას და არა ბრძოლას. ჩვენ კი ზოგი რამ უნდა გავარკვიოთ.

ფაქტია, რომ „ბ" კლასის ბევრმა გუნდმა ცუდად ითამაშა; ფაქტია, რომ ეს პირველ ყოვლისა დასავლეთ საქართველოს გუნდებს ეხებათ; ფაქტია, რომ დასავლეთ საქართველო, თბილისთან ერთად, თუ შეიძლება ითქვას, მასაზრდოებელი წყაროა, საიდანაც ქართული ფეხბურთი იღებდა და ახლაც ღებულობს დიდ ფეხბურთელებს.

ფეხბურთის ბედი თავისი წიაღიდან ტალანტების დაწინაურების უნარზეა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენი „ბ" კლასი ახალგაზრდების ნიჭიერებით მაინცდამაინც არ ბრწყინავს და სათანადოდ ვერ ამარაგებს რეზერვით დიდ ფეხბურთს. იგი აშკარად ჩამორჩება თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს, თავისი თაყვანისმცემლების გაფაქიზებულ გემოვნებას. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უნაყოფო ჩხრეკა-ძიების უფლება, — ჩვენ ვალდებული ვართ გარდატეხას მივაღწიოთ.

## სად ვეძიოთ ჩამორჩენის მიზეზები?

ადრე რესპუბლიკაში „ბ" კლასის ოსტატთა გუნდების რიცხვი ძალიან მცირე იყო. სამაგიეროდ, ეს კოლექტივები თამაშის უფრო მაღალი კლასით გამოირჩეოდნენ და უკეთეს ცვლას უზრდიდნენ დიდ ფეხბურთს. ახლა „ბ" კლასის ბინადართა რაოდენობა ბევრად მეტია, მაგრამ ამიტომ ისინი თვისობრივად არ უნდა დაზარალდნენ: დღეს ხომ გაცილებით უფრო განვითარდა მასობრივი და ბავშვთა ფეხბურთი, ესე იგი ბაზა, რომელიც ამ გუნდებს ასაზრდოებს. ამიტომ ახლა ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ რესპუბლიკაში ოსტატთა გუნდების რიცხვი გაიზარდოს არა მათი თამაშის კლასის დაქვეითებით. მაშ რატომაა, რომ პირობები მხოლოდ პირობებად რჩება?

„ბ" კლასის მწვრთნელები თავიანთი გუნდების სიღარიბეს დაკომპლექტების საკითხში შექმნილი სიძნელეებითა და ბავშვთა ფეხბურთის სისუსტით ხსნიან. მართლაც, ძირეული კოლექტივები (ადგილობრივი ინტერესების დამცველ მეცენატთა აქტიური მხარდაჭერით) არც ისე დიდი ხალისით იძლევიან თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელებს და მასობრივი ფეხბურთის სიმდიდრე ოსტატთა გუნდში მუდამ ვერ ხვდება. ბავშვთა საფეხბურთო სკოლები და ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები თავიანთ ამოცანებს თუ უმკლავდებიან, მხოლოდ წმინდა რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი თვალსაზრისით. მაგრამ, თუმცა ოსტატთა გუნდების მწვრთნელთა პრეტენზიები ამ საკითხში საკმაოდ საფუძვლიანია, მთავარი მაინც მარტო ეს არ არის. განა ოსტატთა კოლექტივების უფროსი მწვრთნელები არ აგებენ პასუხს თავიანთ გუნდებთან შექმნილ მოსამზადებელ ჯგუფებზე? რატომ თავად არ მოაგვარებენ საქმეს?

ჩვენი აზრით, „ბ" კლასის ჩამორჩენის მიზეზები უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ.

ერთ-ერთი მიზეზია ერთფეროვნება ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდაში, გუნდების წვრთნაში. ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში ყველას ერთნაირად ასწავლიან ტექნიკურ ილეთებს, ყველას ერთნაირად ავარჯიშებენ და ტვირთავენ. არავითარი დიფერენციაცია, არავითარი მისწრაფებებისა და ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინება. მაგრამ ეს ხომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არ არის. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება საბოლოოდ მხოლოდ საშუალო დონის ხელოსანთა სერიულ გამოშვებას იწვევს.

იგივე შეიმჩნევა „ბ" კლასის გუნდების საწვრთნელ მეცადინეობაზე. არავითარი ინდივიდუალიზაცია, არავითარი განსაკუთრებული ყურადღება საიმედო სპორტსმენთა მიმართ, არავითარი დამატებითი ვარჯიში მათთან.

მდგომარეობას ართულებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „ბ" კლასის ზოგიერთი მწვრთნელი არც ისე დაინტერესებულია, რომ სხვებისგან გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავდეს. ჯერ ერთი, ეს ფეხბურთელები მას შეიძლება მაშინვე წაართვან და უფრო მაღალი რანგის გუნდებში გადაიყვანონ; მეორეც, — გამორჩეულთა თამაშის თავისებურებებს რაღაცნაირად უნდა შეუხამო მთელი გუნდის კოლექტიური მოქმედება, რაც გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ერთი დონის ფეხბურთელების ადგილებზე განაწილება და ხელმძღვანელობა. ასეთი სისტემის დროს სულ ერთია, რომელ ადგილზე პეტრეს დააყენებ და რომელზე პავლეს, ბევრს ახლა ასე ესმის ფეხბურთელთა უნივერსალიზაციის პრობლემა. ამბობენ, რომ დღეს ფეხბურთელი თანაბრად კარგად უნდა თამაშობდეს როგორც დაცვაში, ისე შუა მინდორზე და თავდასხმაში. მაგრამ დღევანდელი არშინით რომ გავზომოთ, აღმოჩნდება კი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც დაცვაში ხურცილავასავით ითამაშებს, ნახევარდაცვაში ასათიანივით და თავდასხმაში მეტრეველივით? ასეთ უნივერსალურ ფეხბურთელს, სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვნი. ესე იგი, ეს იქნება რაღაც საშუალო ხელოსანი, რომელიც დაცვაში ნამდვილ მცველზე უარესად ითამაშებს, ნახევარდაცვაში ნამდვილ ნახევარმცველზე ცუდად და თავდასხმაში ნამდვილ თავდამსხმელზე უარესად.

შეიძლება ასეთი რამ სადღაც მართლაც ხდება, მაგრამ არ შეიძლება მოხდეს ქართულ ფეხბურთში, რომელიც მუდამ ისწრაფოდა ლამაზი, არტისტული თამაშისკენ, მკაფიო ინდივიდუალობისკენ. ასეა თუ ისე, ყველა ფეხბურთელს თავისი განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ამიტომ მხოლოდ სპეციალიზაციის საფუძველზე შეიძლება დაადგინო ამა თუ იმ მოთამაშის შესაძლებლობები, შეიძლება აღზარდო გამოჩენილი ფეხბურთელები. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე ფეხბურთის მიერ მოთამაშეთა ფუნქციისა და მოქმედების დიაპაზონის გაფართოების თვალსაზრისით წამოყენებული მოთხოვნები სულაც არ ამცირებენ მკაცრი სპეციალიზაციის მნიშვნელობას. მცველი ხომ იერიშშიც მონაწილეობს თავისებურად, თავდამსხმელს კი თავისებური წვლილი შეაქვს დაცვაში. ტალანტების აღზრდისა და მოფრთხილების დროს ერიდეთ ერთს: ნუ ცდილობთ მეტრეველი ხურცილავად აქციოთ, ხოლო ხურცილავა მეტრეველად.

ჯერჯერობით ჩვენ შევეხეთ წვრთნის მხოლოდ ერთ მხარეს. ახლა უნდა ვთქვათ, რომ არადამაკმაყოფილებელი იყო მთლიანად სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაცია რესპუბლიკის „ბ" კლასის გუნდებში (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ გორის „დილა" და რუსთავის „მეტალურგი").

რა დადებით შედეგებზე შეიძლებოდა ამის შემდეგ ფიქრი, რაღა ჩამორჩენის მიზეზების ძებნა გვჭირდება? წვრთნის ცუდი ორგანიზაცია ამ გუნდების პირველი მტერია. აი, რა აფერხებს მათ ნორმალურ განვითარებას, აი, რა უშლის ხელს ფეხბურთში ტალანტების ზრდას.

თანამედროვე ფეხბურთში წარმატებას რომ მიაღწიო, ბეჯითად და გონივრულად წვრთნაა საჭირო. მარტო ჩვენი ფეხბურთელების ნიჭიერებით ფონს ვერ გავალთ. ტალანტი ხუნდება, თუ მუდმივ სრულყოფას არ განიცდის, თუ მას არ ხვეწენ და შრომისმოყვარეობას ავიწყებენ.

შემთხვევითია თუ არა გორის „დილას" და რუსთავის „მეტალურგის" სტაბილური მიღწევები? ეს გუნდები ხომ სხვა კოლექტივებისგან თითქოს არ გამოირჩევიან შემადგენლობის სიძლიერით, ცალკეულ მოთამაშეთა კლასით. არა, ისინი იმარჯვებენ თამაშისა და საწვრთნელ მეცადინეობათა ორგანიზაციით. დააკვირდით მათს წვრთნას: რა კეთილსინდისიერად, რა ინტერესით, გულმოდგინედ ტარდება ყოველი მეცადინეობა. საერთოდ კი ჩვენს „ბ" კლასში, როგორც წესი, თითქმის მუდამ, თითქმის ყველგან გამეფებულია ერთი და იგივე შაბლონი, რომელიც თანდათან აუტანელი ხდება: ფორმალური მოთელვა. შემდეგ ძუნძული პერიოდული „ბიძგებით" მწვრთნელის ნიშანზე (თუმცა ეს „ბიძგები" არც ისე დიდი გულმოდგინებით სრულდება). მერე წყვილად ვარჯიში ბურთით (მოთამაშეები მთქნარებით „ესვრიან" ბურთს ერთმანეთს). შემდეგ — კარში დარტყმა ან მარჯვნიდან და მარცხნიდან ჩაწოდებით, ან კარისკენ რბენის დროს მწვრთნელთან გათამაშებული „კედლით", ან გამოგორებულ ბურთზე. მერე კი აუცილებელი „კვადრატები" და ორ კარში თამაში.

არასოდეს არავითარი გამომგონებლობა, არაფერი ახალი, ცოცხალი, პერსპექტიული და მორიგი ამოცანებით ნაკარნახევი, არაფერი ისეთი, რაც მოთამაშეების დაინტერესებას გამოიწვევდა. ამისოდ ხომ მთელ საწვრთნელ მეცადინეობას ფასი ეკარგება. საწვრთნელი ვარჯიში თითქოს მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით ტარდება. და არცაა გასაკვირი, რომ იგი კვალს არ ტოვებს, თითქმის არ ახდენს გავლენას ფეხბურთელთა ოსტატობაზე, გუნდის თამაშზე. ამას გარდა, ასეთი უწესრიგობა ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მორალურ თვისებებზეც მოქმედებს და ხშირ შემთხვევაში უდისციპლინობას იწვევს.

## რა არის საჭირო უპირველეს ყოვლისა?

შეიძლება ვიპოვნოთ ბევრი ობიექტური მიზეზი და მათი მეოხებით საწვრთნელი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გავამართლოთ. კერძოდ, ძნელი არ არის მოვიმიზეზოთ ფეხბურთის მინდვრების ხარისხი, საწვრთნელი ბაზებისა და ინვენტარის ნაკლებობა და ა. შ. მაგრამ სად არის მთავარი რგოლი, რომელზეც შეიძლება მთელი ჯაჭვი ავასხათ? აქ პირველ პლანზე მწვრთნელის ფიგურა დგება. საწვრთნელ მეცადინეობათა რაციონალურ ორგანიზაციაში ყველაფერი პასუხისმგებელ პირზე, მწვრთნელის მონდომებასა და სურვილზეა დამოკიდებული.

ჩვენს მწვრთნელებს, როგორც წესი, უფრო წმინდა „საასპარეზო" მხარე აინტერესებთ: მატჩისთვის შემადგენლობის განსაზღვრა, მორიგი შეხვედრის გეგმის შედგენა და ათასი ორგანიზაციული საქმე. როგორია ამ დროს მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის დამოკიდებულება? მწვრთნელმა ფეხბურთელისგან მისი შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა მიიღოს. წვრთნის დროს? აქ უკვე ფეხბურთელმა უნდა მიიღოს მწვრთნელისგან. ამ უკანასკნელს უნდა შეეძლოს ბევრი მისცეს თავის აღსაზრდელებს. საამისოდ მარტო გამოცდილება არ კმარა, საჭიროა მრავალმხრივი თეორიული ცოდნაც. ჩვენს ბევრ მწვრთნელს კი სწორედ ეს ცოდნა აკლია (განსაკუთრებით მას, ვისაც სპეციალური განათლება არა აქვს).

მაგრამ ეს მწვრთნელები არ ჩქარობენ ცოდნის გამდიდრებას. მით უმეტეს, რომ აქამდე მათზე მხოლოდ იმის მიხედვით მსჯელობდნენ, თუ რომელ ადგილს დაიკავებდა შეჯიბრებაში ესა თუ ის გუნდი. საწვრთნელი მეცადინეობა გუნდებში სრული უკონტროლობისა და, აქედან გამომდინარე, უპასუხისმგებლობის პირობებში მიმდინარეობს.

ამიერიდან ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. საჭიროა გადამწყვეტი გარდატეხა რესპუბლიკის „ბ" კლასის გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ძირეული გაუმჯობესების მიზნით. ეს კი ნიშნავს, რომ მწვრთნელად არ შეიძლება მუშაობდეს კაცი, რომელსაც სპეციალური ცოდნა არა აქვს და არც სურს შეიძინოს. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია მწვრთნელთა მუშაობის დონე ჩვენი ფეხბურთის შემდგომი აღმავლობის მოთხოვნებს შევუხამოთ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭო.**

# ქალაქ ემენში?

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა ამჟამად თბილისშია და საკავშირო პროფსაბჭოს მოჭადრაკე ქალთა V ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშობს. იგი ხალისიანი მოსაუბრეა და მოსაყოლიც მუდამ ბევრი აქვს: ო. რუბცოვა ხომ რამდენიმე ათეული წელია მოღვაწეობს საჭადრაკო სარბიელზე! ახლა ჩვენი ქალაქის სტუმარი განსაკუთრებით კარგ გუნებაზეა, რადგან ქალიშვილმა ლენა რუბცოვამ ნატვრა აუსრულა: შარშან, გორის საკავშირო ჩემპიონატში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა.

— ლენას ძალიან უნდოდა თბილისში ჩემთან ერთად ეთამაშა, მაგრამ მწვრთნელმა მოსკოვის ვაჟთა პირველობის ნახევარფინალში გამოსვლა ურჩია.

— მერე, როგორი შედეგები აქვს?

— ჯერჯერობით ცუდი: სტარტზე ოთხივე შეხვედრა წააგო.

— გული ხომ არ გაუტყდება?

— არა მგონია: საზონათშორისო ტურნირამდე კიდევ ბევრი დროა.

— როგორ, განა, ეს შეჯიბრება მაისში არ ჩატარდება?

— არა. ტურნირი სექტემბრისთვის გადაიტანეს და მისი გამართვის უფლებას იუგოსლავიისა და ჰოლანდიის ჭადრაკის ფედერაციები ითხოვენ. მოსკოვში მილუნკა ლაზარევიჩმა მითხრა: იუგოსლავიის ფედერაციას ფიდე-ს ოფიციალური უარი ჯერ არ მიუღია, მაგრამ პრეტენდენტთა მასპინძლად მაინც ყველა ჰოლანდიას ასახელებს. მეტიც: ამბობენ, ტურნირი ქალაქ ემენში ჩატარდებაო. სხვათა შორის, ვყოფილვარ ემენში, სადაც ქალთა პირველი ოლიმპიადა მოეწყო. ძალიან კოხტა და მყუდრო პატარა ქალაქია.

„ლელო" ინტერვიუ

— იქნებ ლაზარევიჩმა ისიც გითხრათ რატომ გადაიდო ეს შეჯიბრება?

— კიდევ სამი ზონალური ტურნირი ყოფილა ჩასატარებელი. ერთი მათგანი ევროპაში მალე დაიწყებაო.

ეს ახალი ამბავია. იგი ალბათ დააინტერესებს ნანა ალექსანდრიას, მის მწვრთნელს ბ. გურგენიძეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ქომაგებს. საზონათშორისო ტურნირამდე საკმაო დრო რჩება. როგორც ჩანს, ნანა შეძლებს ითამაშოს საქართველოს ქალთა VI ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომლის ჩატარებასაც ჩვენი ფედერაცია გაზაფხულზე აპირებს. მისთვის ეს საუცხოო ვარჯიში იქნება.

— ხომ იცით, ლაზარევიჩს არაფერში არ სურს ჩამორჩეს ვაჟებს, — განაგრძობს მოსკოველი სტუმარი. — ჩვენს მოჭადრაკეებთან იუგოსლაველთა მატჩის დროს მან საბჭოთა კავშირისა და დანარჩენი მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა გუნდების შეხვედრის თაობაზე გამართა მოლაპარაკება. ისიც თქვა, რომ ამ შეჯიბრებას ვრნიაჩკა-ბანია გაუწევს მასპინძლობას. სახსრებიც გამოიძებნა. მატჩი წლეულს შედგება, თუმცა ზუსტი ვადები ჯერჯერობით უცნობია.

— რამდენ დაფაზე იქნება თამაში?

— ათ დაფაზე, ისევე როგორც ვაჟთა მატჩში.

— როგორ ფიქრობთ, ვინ ითამაშებს საბჭოთა გუნდში?

— გუნდში უთუოდ შევლენ ნონა გაფრინდაშვილი, ალა კუშნირი, ნანა ალექსანდრია, ტატიანა ზატულოვსკაია, ვალენტინა კოზლოვსკაია, ნატაშა კონოპლიოვა, ჩემი ლენა. დანარჩენ სამ ადგილზე შეიძლება ბევრს ჰქონდეს პრეტენზია, მაგალითად, ალა ჩაიკოვსკაიას, მაია რანიკუს, ნინა მედიანიკოვას, ალა მუსლიმოვასა და სხვებს.

— მართლაც ძალიან ძლიერი შემადგენლობაა. მილუნკას წაგებისა არ ეშინია?

— ვაჟთა გუნდზე უარესად არ ვითამაშებთო.

— თუ იცით, ვინ შეჰყავს მას „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრებში?

— არ უთქვამს, თუმცა გუნდი ძნელი შესადგენი არ უნდა იყოს.

და ჩვენ საერთო ძალით შევადგინეთ ასეთი გუნდი: ა. ნიკოლაუ, ე. პოლიქრონიადე (ორივე — რუმინეთი), მ. ლაზარევიჩი, კ. იოვანოვიჩი, თ. ბელამარიჩი, ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა, ვ. ნედელკოვიჩი (ყველა—იუგოსლავია), ვ. ასენოვა (ბულგარეთი), მ. ივანკა (უნგრეთი), ი. მალიპეტროვა (ჩეხოსლოვაკია), ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) და სხვ.

— თუ მოეწყო ეს შეჯიბრება, ვაჟთა მატჩზე ნაკლებ საინტერესო არ იქნება, — დაასკვნა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა.

თ. გიორგაძე.



# პირველი სენსაცია

კაუნასი, 17 მარტი. გუშინ აქ დაიწყო კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის გაერთიანებული ტური — ასპარეზობს უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდი.

პირველი კალენდარული დღის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო ლიდერთა შეხვედრა — რიგის ტტტ-მ დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეტად საჭირო ქულა „წაართვა" ვილნიუსის „კიბირკშტისს" — 61:58.

სენსაციური შედეგით აღინიშნა მეორე ლიდერის—მოსკოვის ოლქის „სპარტაკის" შეხვედრა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან", რომელმაც წლეულს უხეიროდ აიღო სტარტი. ლენინგრადელებმა პირველივე წუთებში მოპოვებული ინიციატივა ბოლომდე შეინარჩუნეს და დაამარცხეს ძლიერი მეტოქე — 66:58.

უაღრესად მძაფრი გამოდგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ბრძოლა მასპინძლებთან — ადგილობრივ „პოლიტექნიკასთან". ლიტველებმა მატჩის ბოლო წუთზე გამოგლიჯეს მეტოქეს გამარჯვება — 62:60.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი) 64:48, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „უნივერსიტეტი" (ტარტუ) 76:45, „დინამო" (მოსკოვი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 76:63.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (რიგა) | 6 | 6 | 0 | 381—338 | 6 |
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 6 | 5 | 1 | 349—299 | 5 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 6 | 5 | 1 | 373—338 | 5 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 6 | 4 | 2 | 348—327 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 6 | 3 | 3 | 381—359 | 3 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 6 | 3 | 3 | 387—372 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 6 | 3 | 3 | 370—359 | 3 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 6 | 2 | 4 | 419—418 | 2 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 6 | 2 | 4 | 332—359 | 2 |
| სპი (თბილისი) | 6 | 2 | 4 | 373—399 | 2 |
| „დინამო" (კიევი) | 6 | 1 | 5 | 337—393 | 1 |
| „უნივერსიტეტი" (ტარტუ) | 6 | 0 | 6 | 306—390 | 0 |

△ სიდნეი. ახალგაზრდა ავსტრალიელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 19 წლის ს. კოჩიკმა შუბი 79,26 მეტრზე ტყორცნა, მანამდე უცნობმა ქალიშვილმა მ. მეიმ კი 200 მეტრი 23,4 წამში გაირბინა.

△ მელბურნი. აქ გამართულ შეჯიბრებაში პ. ნორმენმა 200 მ 20,6 წამში გაირბინა. 100 მეტრზე რბენაში რ. ლიუისსა და ჰ. ედის წამში 2,2 მ სისწრაფით მქროლი ზურგქარი ეხმარებოდა. მათი შედეგია 10,1 წამი.

△ პერტი (ავსტრალია). სიგრძეზე ხტომის ცნობილმა ოსტატმა ფ. მეიმ აქ ზურგქარის დახმარებით 812 სმ აჩვენა. 400 მეტრზე ქალების რბენაში პირადი რეკორდით გაიმარჯვა ს. ბრაუნმა — 53,1.

# სუვენირი სირიიდან

ნონა გაფრინდაშვილის შესანიშნავმა გამარჯვებამ ა. კუშნირთან მატჩში, რამაც მას მსოფლიო ჩემპიონის სახელი მესამედ მოუტანა, უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც დიდად გაახარა. ეს სიხარული მათ თავისებურად გამოხატეს.

გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორი, შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი ვ. ალექსი-მესხიშვილი შარშან სირიაში გახლდათ სსრ კავშირის პავილიონის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული საქმის გამო. იქ მას ამ პავილიონის მშენებლობის ხელმძღვანელმა ლევან სალარაძემ, რომელიც 37 წელია ცხოვრობს და მუშაობს სირიაში, ნონასთვის სამახსოვრო სუვენირის მაკეტის შედგენა სთხოვა. საბჭოთა სტუმარმა სიამოვნებით შეასრულა მასპინძლის სურვილი.

და აი, ოქროსგან ჩამოისხა პატარა საჭადრაკო დაფა და მასზე რელიეფურად გამოსახული დედოფლის გვირგვინი. გვირგვინს ხუთი ქიმი აქვს, რომელთაგან სამში პატიოსანი თვალია ჩასმული.

—იმ ორშიც ძვირფას ქვას ჩავასმევინებთ, როცა კიდევ მოიპოვებთ ჩემპიონობასო, — შემოუთვალა ნონას ლ. სალარაძემ.

დაფას უკან ასეთი წარწერა აქვს: „მსოფლიოს დედოფალს ნონა გაფრინდაშვილს. ლევან სალარაძე, მიხეილ გაწერელია. დამასკო, სირია, 1969".

სამახსოვრო სუვენირი ჭადრაკის დედოფალს ლ. სალარაძის ქალიშვილებმა ჩამოუტანეს. ისინი თბილისში ღებულობენ უმაღლეს განათლებას.

თ. ნინოშვილი.

# მოსკოველთა მონაწილეობით

„გაზაფხულის თასის" გათამაშება რეგბიში უკვე ტრადიციად იქცა თბილისში. წლეულს ეს ტურნირი 19 მარტს დაიწყება და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის აეროფლოტის, უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, „განთიადის", „ლოკომოტივისა" და ნორჩი დინამოს, აგრეთვე, მოსკოვის „სპარტაკის" კოლექტივები.

ეს ასპარეზობა მოსამზადებელი ეტაპია წლევანდელი დიდი ტურნირებისთვის. საქართველოს სპორტსმენებს დაძაბული სეზონი ელით: „ლოკომოტივი" სსრ კავშირის პირველობის უმაღლეს ლიგაში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, „დინამო" კი ამ ლიგაში დასაბრუნებლად. სტუდენტთა კოლექტივები „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გათამაშებაში ჩაებმებიან, თბილისის „სპარტაკი" ჯერ რსფსრ-ს პირველობაში ცდის ძალას. შემდეგ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში გამოვა.

ყველა ამ შეჯიბრებამდე — აპრილში — თბილისის პირველობა ჩატარდება. დედაქალაქის ჩემპიონატში გამოვლენილი 4 უძლიერესი კოლექტივი საქართველოს პირველობის საგზურს მიიღებს.

დ. თაქთაქიშვილი.

# მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად

ძალიან საწყენია, როცა სპორტსმენი ამა თუ იმ მიზეზის გამო ჩამოშორდება სარბიელს, თავის ტოლ-ამხანაგებს, ხალისითა და სიცოცხლით აღსავსე სპორტულ სამყაროს. მაგრამ განუზომლად გულსატკენია, როცა ამ დიდ ცხოვრებას მას სამუდამოდ გამოაკლებს ბრმა შემთხვევა, მით უმეტეს, თუ იგი ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს დიდ სპორტში. რა არის 16 წელი სპორტსმენისთვის? — ჯერ კიდევ განუხორციელებელი ოცნებებისა და იმედების ხანა.

ასეთი იყო ნორჩი სპორტსმენი, მოსწავლეთა შორის რესპუბლიკის სამგზის ჩემპიონი დაშნით ფარიკაობაში თემურ თოფურიძე.

უდროოდ დაღუპული მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად უკვე მეორე წელია „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზში იკრიბებიან ნორჩი დაშნით მოფარიკავეები. ესაა ასპარეზობა, სადაც ჭეშმარიტი ამხანაგობისა და სოლიდარობის სულისკვეთება სუფევს. ასე იყო შარშან, ასე იყო წლეულსაც.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ნორჩი მოფარიკავეები განსაკუთრებით კარგად მომზადებულან თ. თოფურიძის ხსოვნის თასის გათამაშებისთვის. ქების ღირსია ამ პრიზის წლევანდელი მფლობელი, თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ა. ძიძიკაშვილი. მან ფინალში 6 შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. გამარჯვებულს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ზ. მაჩაიძემ და დ. დავითაშვილმა. მათ შესაბამისად II-III ადგილები დაიკავეს.

ა. გოგელია, სპორტის ოსტატი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს ესაჭიროება მბეჭდავი-მემანქანე რუსულ ენაზე.

პირობების გაცნობა შეიძლება კომიტეტის კადრების განყოფილებაში: ჯაფარიძის ქ. № 4. ტელეფონი 99-69-88.

თბილისის

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 18-21 მარტი. საქართველოს პირველობა ხელბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. დასაწყისი 9 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04192